მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია	**მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის** **ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრა**
თარიღი:	29-31.05.2018 წ.
ადგილი:	გუდაური, სასტუმრო „მარკო პოლო“
თავმჯდომარე:	ირაკლი კოკაია
მდივანი:	რუსუდან ასათიანი

სხდომას ესწრებოდნენ*

**[–] პირები, ვინც ვერ დაესწრნენ სხდომას*

მსსკ-ის ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	
ირაკლი კოკაია	მიგრაციის, რეპატრიაციის და ლტო-ლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი;	✓
ზვიად ლათიბაშვილი	შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;	✓
ნინო მესხი	მიგრაციის, რეპატრიაციის და ლტო-ლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;	✓
ირაკლი ლომიძე	მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსი;	✓
რუსუდან ასათიანი	მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის მიგრაციის, რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი;	✓

გრიგოლ ახობაძე	მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარ-ტამენტის მიგრაციის რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;	✓
ნიტა თოდრია	მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარ-ტამენტის მიგრაციის, რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.	✓
	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR)	
იოკო აკასაკა	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლის მოადგილე სამხრეთ კავკასიაში;	✓
მარატ ატამურადოვ	უფროსი რეგიონალური მრჩეველი პროგრამულ საკითხებში;	✓
კრისტინა ბუნეა	რეგიონალური მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში;	✓
რიკარდა მაქფოლსი	კონსულტანტი სოციო-ეკონომუკური ინტეგრაციის საკითხებში;	✓
თეა კვირიკაშვილი	მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში.	✓
	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო	
გვანცა აბესაძე	მდივანი იურიდიულ საკითხებში.	✓
	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)	
ციური ანთაძე	ტექნიკური მრჩეველი.	✓

ზურა ყორღანაშვილი	**მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD)** პროექტის მენეჯერი.	✓
ირინა ფუტკარაძე მარიამ ბოლღაშვილი	**ა(ა)იპ „საზოგადოებრივი დამცველი“,** თავმჯდომარე; საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი.	✓ ✓
ნათია მირველაშვილი	**შინაგან საქმეთა სამინისტრო** მიგრაციის დეპარტამენტის უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.	✓
ნათია ჭელიძე	**ქალაქ თბილისის მერია** ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე.	✓
გიორგი ტაბატაძე	**საგარეო საქმეთა სამინისტრო** საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი.	✓
ანა ბარამია ია ვახტანგიშვილი	**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** სტრატეგიული დაგეგმარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი; ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების პირველი კატეგორიის მთავარი სპეციალისტი.	✓ ✓

ანა მაისურაძე	**სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი** საერთაშორისო განათლების სამსახურის უფროსი.	✓
ქეთევან მახარაშვილი	**სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა** დირექტორი.	✓
ნინო გვარამაძე	**სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი** სამოქალაქო განათლების კონსულტანტი.	✓
დავით ახვლედიანი	**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** საზოგადოებრივი ცენტრების და ელექტრონული მმართველობის კომპონენტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.	✓
თამთა პაპუაშვილი	**სახალხო დამცველის აპარატი** მთავარი მრჩეველი მიგრაციის, რეპატრიაციისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებების საკითხებში.	✓
ელზა ჯგერენაია ნინო ჯაფარიძე	**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი; სოციალური დაცვის დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული.	✓ ✓
თეონა ბაბუნაშვილი	**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო - პროგრამის მენეჯერი.	✓

მიხეილ კორძახია	**დამსაქმებელთა ასოციაცია** ვიცე-პრეზიდენტი.	✓
ირინე მელიქიძე	**საქართველოს ეროვნული ბანკი** მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და განათლების დეპარტამენტი.	✓
სულხან გოცაძე	**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური** მთავარი სამმართველოს უფროსი.	✓

<u>**თანდართული მასალები:**</u>
1. შეხვედრის დღის წესრიგი;
2. მონაწილეთა სია;
3. სამუშაო ცხრილი;
4. პრეზენტაცია/მოხსენებები;

<u>**ოქმი**</u>

შეხვედრა გახსნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს (შემდგომში ლტოლვილთა სამინისტრო), მიგრაციის, რეპარტრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსმა - ბ-ნ ირაკლი კოკაიამ და ისაუბრა, ინტეგრაციის ორმხრივ მნიშვნელობაზე, როგორც თავად საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის (შემდგომში - სდმ პირები), ისე მიმღები საზოგადოებისთვის. ასევე, განმარტა სახელმწიფოს მხრიდან ინტეგრაციის პოლიტიკის დროული გატარების საჭიროება და წინააღმდეგ შემთხვევაში თანმდევი უარყოფით ეფექტები.
ბ-ნ ირაკლი კოკაიამ მიმოიხილა სდმ პირთა ინტეგრაციის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა და ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების მნიშვნელობა.
აღინიშნა, რომ შეხვედრას ესწრებიან სხვადასხვა უწყებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დამსწრეთა ჩართულობისა და ჯანსაღი დისკუსიის პირობებში, შეხვედრის ბოლოს სდმ პირთა ინტეგრაციის პროცესში არსებული გამოწვევებისა და შესაბამისი საპასუხო მოქმედებების სამუშაო დოკუმენტში ასახვა.

ბ-ნ ი. კოკაიამ სიტყვა გადასცა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლის მოადგილეს - ქ-ნ იოკო აკასაკის, რომელმაც, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნა ინტეგრაციის როგორც ორმხრივი პროცესის მნიშვნელობა და ამ პროცესში, როგორც სდმ პირთა ინტეგრირების სურვილის, ისე მიმღები საზოგადოების მხარდაჭერის აუცილებლობა. აქვე, განმარტა ინტეგრაციის პროცესში მთავრობისა თუ

საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის საკითხის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი აქტიურად მონაწილეობს მიმდინარე პროცესებში და გამოთქვამს მზადყოფნას, სამომავლოდაც, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას ინტეგრაციის მიმართულებით არსებული ადგილობრივი რესურსების გაძლიერებაში.
ქ-ნ იოკომ გამოსვლისას ვრცლად ისაუბრა ინტეგრაციის პროცესსა და მიმღები სახელმწიფოს ვალდებულებებზე ამ პროცესის წარმართვისას. აღინიშნა, რომ სდმ პირებისთვის, მათი ჯგუფის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, უპირველესი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის უფლების მაღალი ხარისხით დაცულობის საკითხს. ასევე, რიგი უფლებებით უზრუნველყოფას, მათ შორის, განათლების, ჯანდაცვის, დასაქმებისა თუ განსახლების მიმართულებით. ქ-ნ იოკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა პასუხისმგებელია სდმ პირთა ამ უფლებების არა მატერიალურ უზრუნველყოფაზე, არამედ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ქმედითი აღმასრულებელი მექანიზმის შემუშავებაზე, რომელიც აღნიშნულ პირებს მისცემს რეალურ შესაძლებლობას, ისარგებლონ კონკრეტული უფლებით.
დასასრულს, ქ-ნ იოკომ აღნიშნა, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი მიესალმება სდმ პირთა ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღწეულ პროგრესს და დამსწრე უწყებებს მოუწოდა შეხვედრის განმავლობაში აქტიური ჩართულობისკენ.

* * *

დღის წესრიგის შესაბამისად, შეხვედრა განაგრძო ლტოლვილთა სამინისტროს თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსმა - ბ-ნ ირაკლი ლომიძემ, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს გააცნო სდმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი საერთაშორისო დოკუმენტები, დეტალურად მიმოიხილა როგორც კონვენციით განსაზღვრული, ისე „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სდმ პირთა უფლებები და განმარტა თითოეული უფლების ფარგლები. ამასთანავე, განმარტა, ვის მოიაზრებს საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო დაცვის მქონე პირებში და წარმოადგინა სტატისტიკური მონაცემები საქართველოში სდმ პირთა შესახებ (წარმოშობის ქვეყნების, მომართვიანობისა და სტატუსის მქონე პირების შესახებ)(იხ. დანართი - პრეზენტაცია).

მოხსენება განაგრძო ქ-ნ რუსუდან ასათიანმა, რომელმაც ისაუბრა საქართველოში სდმ პირთა ინტეგრაციის კუთხით არსებულ სახელმწიფო პოლიტიკასა და ამ პროცესში დამსწრე უწყებათა ჩართულობის მნიშვნელობაზე. ქ-ნ რუსუდანმა შეხვედრის მონაწილეებს ვრცლად განუმარტა ინტეგრაციის პროცესის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობა და ის ცალკეული ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვანია თითოეული მიმართულების წარმატებით შესრულებისთვის. ასევე, ხაზგასმით აღნიშნა ინტეგრაციის კომპლექსური პროცესის წარმართვაში სხვადასხვა უწყების მონაწილეობის საკითხი და განმარტა, რომ მსსკ-ის ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის მიზანია ამ საკითხებზე მომუშავე უწყებებს შორის კოორდინირებულად აზრთა და ინიციატივათა ურთიერთ გაცვლა და ინტეგრაციის მიმართულებით შესაბამისი მოქმედებების დასახვა. შეჯამების სახით, ქ-ნ რუსუდანმა

გამოთქვა უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელების მოლოდინი.

* * *

შეხვედრის შემდეგმა მომსხენებელმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისიდან - ქ-ნ კრისტინა ბუნეამ ისაუბრა სდმ პირთა ინტეგრაციის მნიშვნელობასა და რეკომენდირებულ საეთაშორისო სტანდარტებზე. მისი თქმით, ვინაიდან არ არსებობს ინტეგრაციის უნივერსალური განმარტება, შესაბამისად სახელმწიფოები თავისუფლად განსაზღვრავენ სდმ პირთა ინტეგრაციის მიმართულებით განსახორციელებელ მიდგომებს. ქ-ნ კრისტინამ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მეტწილად შესაბამისობაშია არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. ითქვა, რომ მიუხედავად ინტეგრაციის ერთმნიშვნელოვანი განმარტებისა თუ ხელშემწყობი კომპონენტების არ არსებობისა, ცხადია, რომ სდმ პირების მიმღები საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვისთვის აუცილებელია მიმღები საზოგადოების ენის ცოდნა. ასეთივე, მნიშვნელობის მატარებელია მიმღები საზოგადოების ისტორიისა თუ კულტურის გაცნობა - კულტურული ინტეგრაცია, ხოლო, სამოქალაქო განათლების საკითხებში ცნობიერების ამაღლება და ნატურალიზაცია, წარმატებული ინტეგრაციის საბოლოო შედეგად შეიძლება იქნეს განხილული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც მონაწილეობითი შეფასების ეტაპზე გამოიკვეთა (მონაწილეობითი შეფასება განხორციელდა UNHCR-ის მიერ სამინისტროს ჩართულობით თავშესაფრის მაძიებალთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა საჭირობებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, 2018 წლის პირველ კვარტალში). გამოთქვა მზაობა ინტერესის შემთხვევაში დოკუმენტის უწყებებისთის გაზიარებასთან დაკავშირებით.
ქ-ნ კრისტინამ განაცხადა, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი დაეხმარება საქართველოს მთავრობას, შექმნას ერთიანი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სდმ პირთა ინტეგრაციის პროცესის წარმატებით წარმართვას.
ქ-ნ რ. ასათიანმა აღნიშნა, რომ შეხვედრის მსვლელობისას განიხილება ის საკითხები და გამოწვევები, რომლებიც მონაწილეობითი შეფასებისას გამოიკვეთა.

* * *

არასამთავრობო ორგანიზაცია "საზოგადოებრივი დამცველის" თავმჯდომარემ ქ-ნ ირინა ფუტკარაძემ, შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ცენტრში (შემდგომში - ინტეგრაციის ცენტრი) განხორციელებული ღონისძიებები. მოხსენების ფარგლებში, ქ-ნ ირინამ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო „საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის" 2017 წლის სახელმწიფო პროგრამისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის დაფინანსებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგები. ამასთან, 2018 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები (იხ. დანართი - პრეზენტაცია).

* * *

ქ-ნ ნ. თოდრიამ შეხვედრის მონაწილეებს, დღის წესრიგის შესაბამისად, წარუდგინა „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის შედეგები და გააცნო, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, 2018 წლის სახელმწიფო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები. მოხსენების

მსვლელობისას ქ-ნ ნიტამ აღნიშნა, რომ 2018 წლიდან დაბრუნებულ მიგრანტთა მიღება და კონსულტირება მოხდება ინტეგრაციის ცენტრში, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობისა და სდმ პირთა ინტერაქციას. გარდა ამისა, დაგეგმილია საპილოტედ ჯგუფური/ერთობლივი საშემოსავლო პროექტების დაფინანსება (იხ. დანართი - პრეზენტაცია).

* * *

ქ-ნ რუსუდან ასათიანმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო სამუშაო ჯგუფის შეხვედრის სამუშაო ცხრილი და განმარტა მისი შევსების სპეციფიკა. აღინიშნა, რომ შეხვედრის მსვლელობისას სდმ პირთა ინტეგრაციის კუთხით გამოკვეთილი გამოწვევები და არსებული შესაძლებლობები, აზრთა ურთიერთ გაცვლის საფუძველზე, თანმიმდევრულად აღინიშნება მოცემულ ცხრილში. ამის შემდეგ, მოხდება ცხრილის შეხვედრაში მონაწილე ყველა მხარესთან გაზიარება, რათა კონკრეტულმა უწყებებმა წამოაყენონ მათ კომპეტენციასთან შესაბამისობაში არსებულ გამოწვევათა საპასუხო ღონისძიებების შესახებ სამუშაო ინიციატივები და მათი პრაქტიკაში დანერგვის სავარაუდო პერიოდები (იხ. დანართი - სამუშაო ცხრილი).

* * *

შეხვედრის მომდევნო პანელი მთლიანად დაეთმო განათლების სფეროში სდმ პირთა უფლებების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების განხილვას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა, ქ-ნ ი. ვახტანგიშვილმა ისაუბრა სასკოლო ასაკის სდმ პირთათვის ქართული ენის შემსწავლელ სასკოლო პროგრამაზე. მიმოიხილა თავად პროგრამა და პროგრამის წარმართვის თავისებურებები. ქ-ნ იამ განმარტა სასკოლო ასაკის სდმ პირთა პროგრამაში ჩართვისა და პროგრამიდან ამორიცხვის საფუძვლები (იხ. დანართი - მოხსენება).

ბ-ნ მარატ ატამურადოვი დაინტერესდა, რამდენად არის შესაძლებელი პროგრამამ მოიცვას თბილისის გარდა საქართველოს სხვა რეგიონები. აღნიშნულის საპასუხოდ, ქ-ნ იამ განაცხადა, რომ რეგიონებიდან არ ყოფილა პროგრამაში ჩართვის მსურველთა მომართვიანობის შემთხვევები, რაც დაადასტურა ბ-ნ ი. კოკაიამაც და თავის მხრივ, დაინტერესდა, რამდენად არის შესაძლებელი პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლის ინტეგრირება მარტყოფის სკოლაში. ქ-ნ იამ განაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას გამოყოს ერთი პედაგოგი მარტყოფის სკოლისთვის და ამასთან, აღნიშნა რომ გამოკვეთილი საჭირობების შემთხვევაში პროგრამამ შესაძლოა მოიცვას საქართველოს სხვა რეგიონებიც.

შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციასა და ქართული ენის შემსწავლელი პროგრამის დაწყებას შორის არ არის თანხვედრა, რის გამოც დიდია პროგრამაში ჩართვისთვის საჭირო ლოდინის პერიოდი. ქ-ნ რ. ასათიანი ასევე დაინტერესდა, აქვთ თუ არა პროგრამის ბენეფიციარებს კურსის განმეორებით გავლის შესაძლებლობა, რაზეც ქ-ნ იამ დადებითი პასუხი გასცა და ამავდროულად დასძინა, რომ სასკოლო ასაკის

სდმ პირებს შესაძლებლობა აქვთ პროგრამაში ჩართვის გარეშეც მიმართონ კონკრეტულ სასკოლო დაწესებულებას და შესაბამისი ენობრივი ბარიერის არსებობის შემთხვევაში ისარგებლონ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესაძლებლობით.

სდმ პირთა განათლების უფლების ნაწილში საუბარი განაგრძო ქ-ნ ნინო გვარამაძემ, რომელმაც ისაუბრა სდმ პირთა საკითხებთან დაკავშირებით მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლების საკითხზე და შეხვედრის მონაწილეებს წარმოუდგინა მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგ-მოდული, რომელიც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან თანამშრომლობით შემუშავდა (იხ. დანართი - პრეზენტაცია).

მოხსენების დასასრულს შეხვედრის მონაწილეებმა წამოაყენეს წინადადება, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი სტატისტიკის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს მასწავლებელთა გადამზადება ზოგადად უცხოელთა და კულტურული სენსიტიურობის საკითხებზე.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის საკითხზე ისაუბრა ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა - ქ-ნ ნ. ჭელიძემ, რომელმაც მიმოიხილა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა და განაცხადა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჩარიცხვასა და სწავლასთან დაკავშირებული პრობლემა ქ. თბილისის მასშტაბით არ გამოკვეთილა.

დისკუსიის მსვლელობისას გაჟღერდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჩარიცხულ სდმ პირთა ბავშვების აღრიცხვისა და სტატისტიკის წარმოების აუცილებლობის საკითხი. აღნიშნულზე, ქ-ნ ნათიამ განაცხადა, რომ ბაღების სააგენტოდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრნობით, ბაღები არ ახდენენ ბავშვთა აღრიცხვას სხვადასხვა სტატუსის მიხედვით და შესაბამისად არ არსებობს სტატისტიკა სდმ ბავშვთა შესახებ. ასევე, არ დაფიქსირებულა რაიმე სახის პრობლემა ენობრივ ბარიერთან და კომუნიკაციასთან დაკავშირებით. ქ-ნ ნათიამ განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში ბაღების სააგენტო მოახდენს სდმ პირთა ბავშვების აღრიცხვასა და შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას.

დღის წესრიგის შესაბამისად, შეხვედრა განაგრძო ქ-ნ ა. ბარამიამ და ისაუბრა საქართველოში სდმ პირთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის საკითხზე. განმარტა, რომ პროფესიული განათლება სახელმწიფოს მხრიდან სრულად ფინანსდება ყველასთვის და მათ შორის სდმ პირთათვის. ქ-ნ ანამ მიმოიხილა პროფესიული განათლების მიღების წინაპირობები და სწავლების დონეები. ამასთან დასძინა, რომ პროფესიული განათლების მისაღებად საჭირო ტესტირების გავლა ახლა უკვე შესაძლბელია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რის შემდგომაც ჩარიცხული პირები გაივლიან ქართული ენის შემსწავლელ მოდულს. ამასთან, ქ-ნ ანამ ახსენა, რომ პროფესიული განათლების მიღების სურვილი დღეის მდგომარეობით გამოთქვა მხოლოდ ერთმა სდმ პირმა.

დისკუსიის მსვლელობისას შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ასეთი დაბალი მომართვიანობა გამოწვეულია სდმ პირებში პროფესიული განათლების შესახებ დაბალი ცნობიერების დონით და შეთანხმდენენ ამ მიმართულებით ცნობიერების

ასამაღლებელი აქტივობების დაგეგმვის აუცილებლობაზე, რაშიც აქტიურ მონაწილეობას ინტეგრაციის ცენტრი მიიღებს.

პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსთან დაკავშირებით საუბარი განაგრძო ქ-ნ ე. ჯგერენაიამ, რომელმაც მიმოიხილა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და მასში ჩართვის თავისებურებები. გამოიკვეთა პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსების შესახებ სდმ პირთა ცნობიერების დაბალი დონე და ასევე Worknet-ზე რეგისტაციასთან დაკავშირებული ენობრივი ბარიერის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლტოლვილთა სამინისტრომ გამოთქვა მზადყოფნა სდმ პირთა Worknet-ზე რეგისტრაციის პროცესში ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობის თაობაზე.

ფორმალური და არაფორმალური განათლებისა და კვალიფიკაციის აღიარების საკითხზე, დღის წესრიგის შესაბამისად საუბარი განაგრძო ქ-ნ ა. მაისურაძემ, რომელმაც მიმოიხილა განათლებისა და კვალიფიკაციის აღიარების ზოგადი წესი და პირობები. ამასთან, აღნიშნა, რომ სდმ პირთა ჯგუფის სპეციფიკურობიდან გამომდინარე აუცილებელია არსებობდეს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის აღიარების განსხვავებული მექანიზმი, რომლის მოთხოვნაც არ იქნება აღნიშნულ პირთა მხრიდან კონკრეტული დოკუმენტაციის წარმოდგენა. ქ-ნ ანამ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით სდმ პირებს აქვთ მიღებული განათლებისა და კვალიფიკაციის აღიარების შესაძლებლობა, თუმცა არ არის გაწერილი კონკრეტული წესები რის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ეს პროცესი. ამასთან, დასძინა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს და გამოთქვა მზადყოფნა ამ კუთხით ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობისა და შესაბამისი მექანიზმების შემუშავების პროცესში ორმხრივი ჩართულობის თვალსაზრისით.

ქ-ნ ა. მაისურაძემ ასევე განაცხადა, რომ სდმ პირთა მხრიდან განათლების აღიარების მოთხოვნით მიმართვის მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. მოცემულ შემთხვევაში პირმა წერილობით განაცხადში დააფიქსირა ლტოლვილის სტატუსის ქონის ფაქტი. იმ შემთხვევაში თუ პირი თავად არ დააფიქსირებს სტატუსს განაცხადის შევსებისა, სხვა სისტემური აღრიცხვის მექანიზმი ჯერ-ჯერობის არ არსებოსბ. ქ-ნ ანამ ასევე დასძინა, რომ იგეგმება ელექტრონული განაცხადების მიღების ფორმატზე გადასვლა, რაც შესაძლებელს გახდის სდმ პირთა მომართვიანობის შესახებ სტატისტიკის წარმოებას. თუმცა, ძველი სტატისტიკის დამუშავება ვერ მოხდება, ვინაიდან მონაცემები არის ბეჭდური ფორმით და მათი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა დიდ რესურსებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისმა გამოხატა მზადყოფნა მხარდაჭერა აღმოუჩინოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული აღრიცხვასთან დაკავშირებით და ასევე საჭიროების შემთხვევაში ხელნაწერი განაცხადების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანასთან დაკავშირებითაც.

დისკუსიის მსვლელობისას გაჟღერდა, რომ მომართვიანობის არ არსებობის მიზეზი შესაძლოა იყოს სდმ პირთათვის განათლების აღიარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის არ ქონაც.

ასევე აღინიშნა, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილი რეფორმიდან გამომდინარე რთულია არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულებით არსებულ მდგომარეობაზე საუბარი, რადგან რეფორმასთან ერთად იცვლება ამ მიმართულებით არსებული წესი და მექანიზმები. ქ-ნ ანამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა და მათთვის მნიშვნელოვანია ლტოლვილთა სამინისტროს ჩართულობა არაფორმალური განათლების აღიარების შესაბამისი მექანიზმის შექმნის პროცესში.

„ლტოლვილთა კვალიფიკაციის აღიარების ევროპული პასპორტისა“ და ამ პროცესში საქართველოს ჩართულობის შესაძლებლობის საკითხზე ისაუბრა ქ-ნ თეა კვირიკაშვილმა, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს გააცნო აღნიშნული დოკუმენტის სპეციფიკა და უპირატესობები.

აღნიშნულთან მიმართებით, ქ-ნ ა. მაისურაძემ განაცხადა, რომ უკვე იგეგმება ამ მექანიზმის გაზიარება. შესაბამისად გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისმა შესთავაზა ამ მიმართულებით თანამშრომლობა და მათ ხელთ არსებული რესურსისა და გამოცდილების მაქსიმალურად გაზიარება.

სდმ პირთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის საკითზე ისაუბრა ქ-ნ ა. ბარამიამ, რომელმაც განმარტა სდმ პირთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შესაძლებლობები. შეხვედრის მონაწილეებს გააცნო უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვის წინაპირობები და დასძინა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ სდმ პირთა სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს რადგან არ დამდგარა აღრიცხვის საჭიროება. ქ-ნ ანამ, განმარტა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის ქართული ენის კურსის გავლის შესაძლებლობის საკითხი.

დისკუსიის მსვლელობისას, გაჟღერდა სდმ პირთათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების აუცილებლობის მნიშვნელობა.

შეხვედრა სდმ პირთათვის ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობებზე საუბრით განაგრძო ქ-ნ ქ. მახარაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ინტეგრაციის ცენტრში 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის ფრგლებში განხორციელებულ ქართული ენის შემსწავლელ კურსებსა და 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ლტოლვილთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორნადუმის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებზე (იხ. დანართი - პრეზენტაცია).
ქ-ნ ქეთევანმა, ასევე, ისაუბრა ქართული ენის შემსწავლელი კურსების რეგიონული ხელმისაწვდომობის საკითხზე, ამ მიმართულებით მათ გამოცდილებაზე და გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში, რეგიონებში სდმ პირთათვის ქართული ენის უფასო კურსების შეთავაზების თაობაზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ რეგიონების მასშტაბით ქართული ენის სახემძღვანელოების მიწოდება ასევე შესაძლებელია ელექტრონული ვერსიის ფორმით.

დისკუსიის მსვლელობისას წამოიჭრა ქართული ენის შემსწავლელი კურსების თავშესაფრის მაძიებელთათვის შეთავაზების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ლტოლვილთა სამინისტრომ განაცხადა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში წარადგენს საკითხს ფინანსთა სამინისტროსთან სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ბიუჯეტის შესაბამისი ზრდის საჭიროების შესახებ, რასაც დადებითად შეხვდა ქ-ნი ქეთევანი.

ქ-ნ ქეთევანმა საუბარი განაგრძო სდმ პირთათვის საგანმანათლებლო კურსების სწავლების ელექტრონული მოდულების შეთავაზების საკითხზე და აღნიშნა, რომ ჟვანიას სკოლის მიერ შემუშავდა რამდენიმე ელექტრონული სახელმძღვანელო, რომლებიც სრულიად უფასოდ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. ამასთან, დასძინა რომ შემუშავებულია სამოქალაქო განათლების ელექტრონული სახელმძღვანელო და გამოთქვა მისი შინაარსობრივი მოდიფიკაციისა და სდმ პირთა სპეციფიკისთვის მორგების თაობაზე მზადყოფნა.

ქ-ნ ქეთევანმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ასევე სდმ პირთა სპეციფიკაზე მორგებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შემუშავებაც.

ლტოლვილთა სამინისტრომ გამოთქვა ამ პროცესში, სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან და თემატური საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩართვის სურვილი.

ბ-ნ დ. ახვლედიანმა ისაუბრა სდმ პირთა ინტეგრაციის მიმართულებით საზოგადოებრივი ცენტრების ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობაზე. არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბ-ნ დავითმა შეხვედრის მონაწილეებს საზოგადოებრივი ცენტრები წარმოუდგინა, როგორც ერთგვარი პლატფორმა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის კონკრეტული სერვისების მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, სწრაფად და მარტივად მიწოდების თვალსაზრისით. ასევე, უწყების სახელით გამოხატა მზაობა, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი ცენტრების სივრცე სდმ პირთათვის როგორც სასწავლო კურსების, ისე სხვა რელევანტური სერვისებით უზრუნველყოფის მიზნით.

* * *

შეხვედრის მომდევნო დღე გახსნა ქ-ნ რ. ასათიანმა, მოკლედ შეაჯამა შეხვედრის მონაწილეებს შორის მიღწეული შეთანხმებები და წარმოადგინა დღის წესრიგით, გათვალისწინებული საკითხები.

შეხვედრის შემდეგი პანელი დაეთმო სდმ პირთა ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა - ქ-ნ ე. ჯგერენაიამ ისაუბრა 2018 წელს დაგეგმილ დასაქმების ხელშემწყობ პროგრამებზე. მიმოიხილა პროგრამით გათვალისწინებული სერვისები და განმარტა თითოეული მათგანი.

ქ-ნ რ. ასათიანმა წინადადება შესთავაზა ქ-ნ ელზას, რომ წარმოედგინა ლტოლვილთა სამინისტროსთან სდმ პირთა ჯგუფის სპეციფიკურობიდან გამომდინარე თანამშრომლობის

მისეული ხედვა. აღნიშნულის საპასუხოდ, ქ-ნ ელზამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო სდმ პირებს შესთავაზებს ჯგუფურ კონსულტაციებს, პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის თვალსაზრისით. ითქვა, რომ ამ პროცესში ინტეგრაციის ცენტრის ჩართულობა მნიშვნელოვანი იქნება სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებული ენობრივი ბარიერის მოხსნის თვალსაზრისით.

დისკუსიის მსვლეობისას გაჟღერდა ინიციატივა ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების ფორუმისათვის სდმ პირთა სამიზნე ჯგუფის მომზადებისა და მათი აღნიშნულ ფორუმებში ჩართვის შესაძლებლობის თაობაზე. მოცემულის შესაბამისად, ინტეგრაციის ცენტრში მოხდება სდმ პირთა შესაბამისი პროფესიული პროფილების შედგენა და მათი მომზადება დასაქმების ფორუმებისათვის.

სდმ პირთა ინტეგრაციის საკითხსა და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, დღის წესრიგის თანახმად, საუბარი განაგრძო დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა - ბ-ნ მ. კორძახიამ, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ასოციაციის საქმიანობის პროფილი და მონაცემთა ბაზის თავისებურებები.

ბ-ნ მიხეილმა ისაუბრა სდმ პირებთან მიმართებით დამსაქმებლებში არსებული ცნობიერების დაბალი დონესა და შესაბამისად დამსაქმებელთა მხრიდან, მოცემულ სამიზნე ჯგუფთან მიმართებით ინტერესის ნაკლებობის საკითხზე. ამასთან, გამოთქვა მზადყოფნა სდმ პირთა ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით, კონკრეტულ რეგიონებში, კონკრეტულ ბიზნეს-სექტორებთან დიალოგისა და ამ საკითხზე ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობის შესახებ.

ჯანდაცვის სამინისტროსა და დამსაქმებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობის ფორმატში გამოითქვა წინადადება სდმ პირების პროფესიული პროფილების ყოველთვიურ რეჟიმში აღნიშნული მხარეებისთვის მიწოდების შესახებ.

სდმ პირთათვის ბიზნესის/მეწარმეობის ხელშეწყობის საკითხზე საუბარი განაგრძო ქ-ნ თ. ბაბუნაშვილმა, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს გააცნო სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მოქმედების სფერო და არეალი (იხ. დანართი - პრეზენტაცია).

აღინიშნა, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაფინანსების თვალსაზრისით მოქმედი მექანიზმი სდმ პირთათვის არარსებობს, თუმცა აღნიშნული ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, როგორც ფიზიკურ პირებზე. ამასთან ქ-ნ რუსუდანმა გამოხატა სურვილი მომდევნო წლის პროგრამის დაგეგმვის პროცესში იქნებ უწყებებს შორის მოხდეს შეთანხმება სამიზნე ჯგუფში სდმ პირთა განსაზღვის შესახებ. ასევე აღინიშნა, რომ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის შესაძლებელია ბიზნესის დაწყებისა თუ განვითარების მიზნით სესხის დაფინანსება, რაც თავისთავად შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს სდმ პირთა მიერ შექმნილი იურიდიული პირისათვის/ბიზნეს სუბიექტისთვის.

ბ-ნ ი. კოკაიამ სდმ პირთა ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით აღნიშნა, ის პრაქტიკა რაც ინტეგრაციის ცენტრში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის დაფინანსებით

სდმ პირთათვის საშემოსავლო პროექტების დაფინანსების კუთხით არსებობს, რაც ნამდვილად დადებითი მოვლენაა და ეს მიდგომა უსასყიდლოდ გრანტის გადაცემას გულისხმობს. ბ-ნ ირაკლის აზრით უმჯობესი იქნება ეტაპობრივად ეს მიდგომა გადავიდეს დაფინანსებული პროექტებიდან თანხების აკუმულირებისა და შემდომ სხვა პროექტების დაფინანსების მოდელზე. ბ-ნ ირაკლიმ მაგალითის სახით მოიყვანა, რომ შესაძლებელია ფონდის შექმნა, სადაც მოხდება დაფინანსებული პროექტებიდან მიღებული მოგების/უკუგების გარკვეული წილის თავმოყრა და სხვა ბენეფიციარების დასაფინანსებლად გამოყენება - თვითდაფინანსების მოდელის შექმნა. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბ-ნ მ. ატამურადოვმა გამოითქვა სურვილი ინტეგრაციის მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისას თავიდან იქნას აცილებული დუბლირებები, როგორც მათი შინაარსის ისე დაფინანსების წყაროსთან მიმართებაში, რაზეც მსსკ-ის სამდივნოს მხრიდან გაკეთდა განმარტება, რომ სამდივნოს მიერ შემუშავებული პროექტების საკოორდინაციო შეხვედრების მექანიზმი, რომელიც წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ იმართება და რომელშიც მონაწილეობს ყველა ის ორგანიზაცია (სახელმწიფო უწყება, სერთაშორისო ორგანიზაცია თუ არსამთავრობო ორგანიზაცია), რომელიც აქტივობების შემუშავების პროცესშია ჩართული, სწორედ მსგავსი სახის დუბლირებების გამორიცხვას ემსახურება და კიდევ ერთხელ ეთხოვა უწყებებს და პარტნიორ ორგანიზაციებს აღნიშნული ფორმატის გამოყენება აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

მოცემული პანელი, სდმ პირთა საბანკო სერვისებზე ხელმისაწვდომობის საკითხზე საუბრით დაასრულა ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა - ქ-ნ ი. მელიქიძემ, რომელმაც ისაუბრა სდმ პირებთან მიმართებით ანგარიშის გახსნასთან, გადარიცხვებთან და სესხებთან მიმართებით მოქმედ შეზღუდვებზე. მან განმარტა, რომ ეროვნულ ბანკში არსებობს განსაზღვრული ქვეყნების სია (21 ქვეყანა), რომელთა მოქალაქეებისათვის უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნა და შესაბამისი ტრანზაქციების წარმოება ხელმიუწვდომელია და სწორედ ამიტომ, რიგ ქვეყნებთან მიმართებაში სდმ პირებზეც ვრცელდება აღნიშნული მიდგომა.

მოხსენების მსვლელობისას გამოიკვეთა სდმ პირების მიერ უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნასთან, წარმოშობის სახელმწიფოდან თანხის/პენსიის გადმორიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, კონკრეტული პირისთვის საბანკო სერვისებზე წვდომის შეზღუდვის შესაძლებლობისა და სდმ პირთა მომართვიანობასათან დაკავშირებული სტატისტიკის არ არსებობის საკითხები.

ქ-ნ ირინემ განაცხადა, რომ სდმ პირებს შესაძლებლობა აქვთ დაბრკოლებისა თუ შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში მიმართონ საქართველოს ეროვნულ ბანკს სხვადასხვა საკომუნიკაციო წყაროს საშუალებით. შესაბამისად, ლტოლვილთა სამინისტრომ გამოთქვა მზადყოფნა სდმ პირების აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ინფორმირების თაობაზე.

* * *

შეხვედრის მომდევნო პანელი დაეთმო სდმ პირთა ჯანდაცვის სფეროში არსებული უფლებების რეალიზაციისა და ამ მიმართულებით ინტეგრაციის გამოწვევებისა და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირების საკითხს.

პანელი სდმ პირთა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებზე საუბრით გახსნა ქ-ნ ე. ჯგერენაიამ, ნაცვლად შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისა, რომელმაც ვერ მოახერხა შეხვედრაში მონაწილეობის მიღება. ქ-ნ ელზამ მიმოიხილა სდმ პირთათვის ხელმისაწვდომი საკმაოდ მრავალფეროვანი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამები და ისაუბრა ამ მიმართულებით სამომავლოდ დაგეგმილ ცვლილებებზე. გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებადი 24 ჯანდაცვის პროგრამიდან ყველა ხელმისაწვდომია სდმ პირთათვის, როგორც სამიზნე ჯგუფისათვის, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ C ჰეპატიტის პროგრამა, რომელიც ასევე გახდება ხელმისაწვდომი 2019 წლიდან.

ბ-ნ ი. ლომიძემ დასვა თავშესაფრის მაძიებელთათვის ეპიდემიური დაავადებების იდენტიფიცირების აუცილებლობის საკითხი. აღნიშნა, რომ ეს საჭიროება გამოიკვეთა კონკრეტული წარმოშობის ქვეყნებში ეპიდემიური დაავადებების გავრცელების ფაქტის შესახებ ინფორმაციის გაგების შემდგომ. ხსენებული საკითხი მწვავეა, რადგან რისკის ქვეშ დგას სამინისტროს იმ თანამშრომელთა ჯანმრთელობის საკითხი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ბენეფიციარებთან. ამასთან ქ-ნ ელზამ აღინიშნა, რომ თავშესაფრის მაძიებელთათვის ეპიდემიური დაავადებების იდენტიფიცირებისთვის საჭირო სკრინინგის უფასოდ ჩატარება შესაძლებელია სახელმწიფო სერვისის პროვაიდერ კლინიკებში. ამასთან, დამატებით დეტალური ინფორმაციისათვის მნიშვნელოვანია კომუნიკაცია შედგეს ეპიდ-ზედამხედველობის პროგრამასთან დაკავშირებით დაავადების კონტროლის ცენტრთან.

დისკუსიის მსვლელობისას გაჟღერდა სდმ პირთა მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობაც, რაზეც თბილისის მერიის წარმომადგენელმა ქ-ნ ნ. ჭელიძემ ისაუბრა (იხ. დანართი - მოხსენება). ლტოლვილთა სამინისტრომ, ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამებისა და მუნიციპალიტეტების მიერ შეთავაზებული პროგრამების ერთიან სისტემაში თავმოყრის მიზნით, გამოთქვა მზადყოფნა ქალაქ თბილისის მერიასთან კოორდინაციისა და დამატებითი შეხვედრების გამართვასთან დაკავშირებით.

ქ-ნ ელზამ ასევე ისაუბრა სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომელთა, სდმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე და აღნიშნა, რომ სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლების ინფომირებას ახდენდა უწყება, თუმცა იგეგმება უფრო ინტენსიური კამპანია.

* * *

შეხვედრის შემდეგი პანელი დაეთმო სდმ პირთა სოციალური დაცვის საკითხებს. პანელის მომხსენებელმა, ქ-ნ ნ. ჯაფარიძემ ისაუბრა სახელმწიფო პენსიისა და სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობებსა და პირობებზე. ქ-ნ ნინომ შეხვედრის მონაწილეებს განუმარტა სახელმწიფო პენსიის მიღების საფუძვლები და ამ პროცესში სდმ პირთა მონაწილეობის საკითხი. აღინიშნა, რომ უცხოელთა შემთხვევაში, პენსიის მიღების შესაძლებლობა აქვთ პირებს, რომლებსაც საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლება აქვთ და უწყვეტად ცხოვრობენ არანაკლებ 10 წელი. როგორც გაირკვა ამ ეტაპზე სდმ პირებს არ აქვთ სახელმწიფო პენსიაზე წვდომის შესაძლებლობა (მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულის თეორიული შესაძლებლობა არსებობს). დისკუსიის მსვლელობისას გამოიკვეთა სდმ პირების მიერ სოციალური დახმარების მიღების სამართლებრივ საფუძვლებში

არსებული ხარვეზები და შეუსაბამობები კანონსა და კანონქვემდებარე აქტებში, რაც იწვევს გაურკვევლობას ხელმისაწვდომია თუ არა სდმ პირებისათვის სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭება და შესაბამისი სიკეთეებით სარგებლობა. უწყების წარმომადგენლისგან განიმარტა, რომ არ არის ხელმისაწვდომი სდმ პირთათვის აღნიშნული სერვისი. ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან ხაზი გაესვა აღნიშნული საკითხის დარეგულირების აუცილებლობას.
ქ-ნ ნ. ჭელიძემ განაცხადა, რომ სდმ პირებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ თბილისის მერიის იმ მუნიციპალურ პროგრამებში, რომლებში ჩართვისათვისაც ძირითად მოთხოვნას თბილისში რეგისტაცია წარმოადგენს. ქ-ნ რუსუდანმა აღნიშნა, რომ ხსენებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია სამინისტროსათვის, რამდენადაც ამჟამად სამინისტრო მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარებს ჯანდაცვისა და სოციალური, შშმ პირების განთავსების კუთხით დახმარებას უწევს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით, რაც ამოწურვადი შესაძლებლობაა და საჭიროა სახელმწიფო თუ მუნიციპალურ დონეზე მდგრადი სისტემური მექანიზმის ჩამოყალიბება.

დისკუსიის ფარგლებში, ასევე, გამოიკვეთა სდმ პირთა თბილისის მუნიციპალიტეტის თავშესაფარში განთავსების შესაძლებლობია, რასთან დაკავშირებითაც განიმარტა, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსებისათვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, რომ პირს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის მოვლა. ლტოლვილთა სამინისტრომ გამოთქვა მზადყოფნა, ამ საკითხთან დაკავშირებით კოორდინაციის მიზნით, თბილისის მერიასთან შემდგომი შეხვედრების გამართვის თაობაზე.

განთავსებასთან დაკავშირებით, ბ-ნ ი. ლომიძე დამატებით დაინტერესდა მუნიციპალურ თუ სახელმწიფო დონეზე მუდმივი ზედამხედველობის საჭიროების მქონე პირთა განთავსების შესაძლებლობის არსებობით (შშმ პირი თუ სხვა სერიოზული დაავადების მქონე პირი და ა.შ.). ამასთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა, ქ-ნ ნინომ აღნიშნა, რომ არსებობს სათემო ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნულ საკითხზე მუშაობენ და ხელმისაწვდომობის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, აუცილებელია შემდგომი კომუნიკაცია სააგენტოსთან.

* * *

შეხვედრის ბოლო პანელი დაეთმო საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორ - ბ-ნ გ. ტაბატაძეს, რომელმაც ისაუბრა სდმ პირთა გადაადგილების თავისუფლებისა და სამგზავრო დოკუმეტების აღიარების საკითხზე. ბ-ნ გიორგიმ შეხვედრის მონაწილეებს განუცხადა, რომ არ ყოფილა გამოკვეთილი და კონკრეტული შემთხვევები, როდესაც სდმ პირებთან მიმართებით დაფიქსირდა საქართველოში უცხო ქვეყნის საკონსულო წარმომადგენლობების მხრიდან სამგზავრო დოკუმენტების ცნობასა და აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები. ბ-ნ გიორგიმ წინადადებით მიმართა ლტოლვილთა სამინისტროს მიაწოდოს ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმცია და გამოთქვა შესაბამისი, საპასუხო ღონისძიებების გატარებისთვის მზადყოფნა, კერძოდ, უცხო ქვეყნის საელჩოებისა თუ საკონსულო წარმომადგენლობების დამატებითი ინფორმირების კუთხით.

* * *

ორდღიანი შეხვედრის დასასრულს, ქ-ნ რ. ასათიანმა მონაწილეებთან ერთად განიხილა შეხვედრის მსვლელობისას სდმ პირთა ინტეგრაციის მიმართულებით გამოკვეთილი და წამოჭრილი გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესაბამისად შევსებული სამუშაო ცხრილი და განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტი გაეგზავნება შეხვედრაში მონაწილე ყველა მხარეს, რათა მათ წარმოადგინონ, კომპეტენციის ფარგლებში არსებული, კონკრეტული გამოწვევის საპასუხო მოქმედებები და მათი განხორციელების ვადები.

Სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა ქ-ნ - თამთა პაპუაშვილმა მადლობა გადაუხადა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორს აპარატის მოწვევისთვის. ასევე, აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით უკვე მიმართა ლტოლვილთა სამინისტროს სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მიღების თხოვნით, რაზეც სამინისტრომ განმარტა რომ, საკითხის განხილვა მოხდება მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მომდევნო სხდომაზე.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის სახელით ბ-ნ მ. ატამურადოვმა მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრე ორგანიზაციას და უწყების წარმომადგენელს და ასევე კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა დაეხმაროს უწყებს ინტეგრაციის მიმართულებით აქტივობების იმპლემენტაციაში.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს წარმომადგენელმა - ქ-ნ გ. აბესაძემ მოუწოდა უწყებებს კოორდინირებული თანამშრომლობისკენ. ასევე ეთხოვათ უწყებებს, რომ საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2019 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის განესაზღვრათ ინტეგრაციის მიმართულებით აქტივობები, იმ ინფორმაციის და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც მათ მიიღეს ორდღიან შეხვედრაზე.

დასასრულს ბ-ნ ი. კოკაიამ მოკლედ შეაჯამა შეხვედრა. მადლობა გადაუხადა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისსა და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს გაწეული მხარდაჭერისთვის. ასევე, შეხვედრაში მონაწილე უწყებებს ჩართულობისა და აქტიურობისთვის.

ირაკლი კოკაია _____

შეხვედრის თავმჯდომარე

რუსუდან ასათიანი _____

სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრის მდივანი